

# შპს „იდეალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## ფინანსური ანგარიშგება

|                                                           |   |
|-----------------------------------------------------------|---|
| მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 1 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                  | 2 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....          | 3 |

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

|                                                           |    |
|-----------------------------------------------------------|----|
| 1. კორპორატიული ინფორმაცია .....                          | 4  |
| 2. მომზადების საფუძველი .....                             | 4  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....     | 5  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... | 8  |
| 5. ამონაგები რეალიზაციიდან .....                          | 8  |
| 6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება .....              | 8  |
| 7. კომერციული ხარჯები .....                               | 9  |
| 8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                | 9  |
| 9. ძირითადი საშუალებები .....                             | 10 |
| 10. მარაგები .....                                        | 11 |
| 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                      | 11 |
| 12. გადასახადები .....                                    | 11 |
| 13. ფული და ფულის ექვივალენტები .....                     | 11 |
| 14. კაპიტალი .....                                        | 11 |
| 15. მიღებული სესხები .....                                | 12 |
| 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                   | 12 |

## შპს “იდეალ ჯორჯია”

### მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                      | შენიშვნა | 2022<br>(არააუდიტირებული) | 2021<br>(არააუდიტირებული) |
|--------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან             | 5        | 4,013,309                 | 3,721,251                 |
| რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება | 6        | (2,768,690)               | (2,434,710)               |
| <b>საერთო მოგება</b>                 |          | <b>1,244,619</b>          | <b>1,286,541</b>          |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი           |          | 3,147                     | 80,655                    |
| კომერციული ხარჯები                   | 7        | (296,122)                 | (210,088)                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები    | 8        | (290,332)                 | (238,571)                 |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                |          | (703)                     | (57,560)                  |
| <b>საოპერაციო მოგება</b>             |          | <b>660,609</b>            | <b>860,977</b>            |
| ფინანსური ხარჯი                      |          | (25,235)                  | (34,084)                  |
| მოგება სავალუტო ოპერაციებიდან        |          | 81,611                    | 67,387                    |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>            |          | <b>716,985</b>            | <b>894,280</b>            |
| მოგების გადასახადი                   |          | (47,210)                  | (46,942)                  |
| <b>წლის სრული შემოსავალი</b>         |          | <b>669,775</b>            | <b>847,338</b>            |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 8 სექტემბერს:

ზურაბ შილაკაძე  
დირექტორი

შპს "იდეალ ჯორჯია"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია კრთულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

|                                      | შენიშვნა | 2022<br>(არააუდიტირებული) | 2021<br>(არააუდიტირებული) |
|--------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან             | 5        | 4,013,309                 | 3,721,251                 |
| რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება | 6        | (2,768,690)               | (2,434,710)               |
| <b>საერთო მოგება</b>                 |          | <b>1,244,619</b>          | <b>1,286,541</b>          |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი           |          | 3,147                     | 80,655                    |
| კომერციული ხარჯები                   | 7        | (296,122)                 | (210,088)                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები    | 8        | (290,332)                 | (238,571)                 |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                |          | (703)                     | (57,560)                  |
| <b>საოპერაციო მოგება</b>             |          | <b>660,609</b>            | <b>860,977</b>            |
| ფინანსური ხარჯი                      |          | (25,235)                  | (34,084)                  |
| მოგება სავალუტო ოპერაციებიდან        |          | 81,611                    | 67,387                    |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>             |          | <b>716,985</b>            | <b>894,280</b>            |
| მოგების გადასახადი                   |          | (47,210)                  | (46,942)                  |
| <b>წლის სრული შემოსავალი</b>         |          | <b>669,775</b>            | <b>847,338</b>            |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 7 სექტემბერს:

  
 ზურაბ შილაკაძე  
 დირექტორი

**შპს “იდეალ ჯორჯია”**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                               | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2022<br>(არააუდიტირებული) | 31 დეკემბერი 2021<br>(არააუდიტირებული) |
|-----------------------------------------------|----------|----------------------------------------|----------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |                                        |                                        |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |                                        |                                        |
| ძირითადი საშუალებები                          | 9        | 416,493                                | 393,947                                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>416,493</b>                         | <b>393,947</b>                         |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |          |                                        |                                        |
| მარაგები                                      | 10       | 717,269                                | 788,778                                |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 11       | 590,439                                | 458,596                                |
| საგადასახადო აქტივი                           | 12       | -                                      | 8,727                                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები                   | 13       | 44,941                                 | 25,910                                 |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 |          | <b>1,352,649</b>                       | <b>1,282,011</b>                       |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>1,769,142</b>                       | <b>1,675,958</b>                       |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                                        |                                        |
| საწესდებო კაპიტალი                            | 14       | 397                                    | 397                                    |
| გაუნაწილებელი მოგება                          | 14       | 1,241,989                              | 839,736                                |
| <b>სულ კაპიტალი</b>                           |          | <b>1,242,386</b>                       | <b>840,133</b>                         |
| გრძელვადიანი სესხები                          | 15       | -                                      | 198,789                                |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>-</b>                               | <b>198,789</b>                         |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |          |                                        |                                        |
| საგადასახადო ვალდებულება                      | 12       | 19,493                                 | -                                      |
| მოკლევადიანი სესხები                          | 15       | 255,714                                | 327,838                                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                 | 16       | 251,549                                | 309,198                                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            |          | <b>526,756</b>                         | <b>637,036</b>                         |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>1,769,142</b>                       | <b>1,675,958</b>                       |

## შპს “იდეალ ჯორჯია”

### საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| (არააუდიტირებული)           | საწედბო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ              |
|-----------------------------|---------------------|-------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2020</b>    | <b>397</b>          | <b>258,403</b>          | <b>258,800</b>   |
| მიმდინარე წლის სრული მოგება | -                   | 847,338                 | 847,338          |
| დივიდენდის გამოცხადება      | -                   | (266,005)               | (266,005)        |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | <b>397</b>          | <b>839,736</b>          | <b>840,133</b>   |
| მიმდინარე წლის სრული მოგება | -                   | 669,775                 | 669,775          |
| დივიდენდის გამოცხადება      | -                   | (267,522)               | (267,522)        |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>    | <b>397</b>          | <b>1,241,989</b>        | <b>1,242,386</b> |

## 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „იდეალ ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2009 წლის 3 აპრილს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205276388.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო/სარემონტო მასალების იმპორტი და ადგილობრივი რეალიზაცია. 2022 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 19 თანამშრომელი.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყაზბეგის გამზირი №34.

**კომპანიის მეწილეები:** საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები იყვნენ:

ზურაბ შილაკაძე - 88%

პაატა ქავთარაძე - 10%

მაია შილაკაძე - 2%

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, კომპანიის მფლობელები არიან:

ზურაბ შილაკაძე - 89%

პაატა ქავთარაძე - 9%

მაია შილაკაძე - 2%

**საქართველოს ბიზნეს გარემო.** კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მაჩასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

## 2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის

განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                        | <u>საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი</u> |             |
|------------------------|-----------------------------------------------------|-------------|
|                        | <u>აშშ დოლარი</u>                                   | <u>ევრო</u> |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 2.7020                                              | 2.8844      |
| 2021 წლის 31 დეკემბერი | 3.0976                                              | 3.5040      |

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

#### ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.



**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| <b>ჯგუფი</b>              | <b>სასარგებლო მომსახურების ვადა</b> |
|---------------------------|-------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები         | 50                                  |
| სატრანსპორტო საშუალებები  | 8-10                                |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი   | 5                                   |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 5                                   |

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ და ნაწარმს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები

რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**დივიდენდები.** დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.** ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

### 5. ამონაგები რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს იმპორტირებული საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც 2022 წლისთვის შეადგენდა 4,013,309 ლარს (2021: 3,721,251).

### 6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მარაგის შეძენის ფასს და ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

## შპს “იდეალ ჯორჯია”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 7. კომერციული ხარჯები

|                                  | 2022             | 2021             |
|----------------------------------|------------------|------------------|
| შრომის ანაზღაურება               | (151,639)        | (110,782)        |
| საიჯარო ხარჯი                    | (62,821)         | (34,609)         |
| ტრანპორტირების და შენახვის ხარჯი | (27,689)         | (26,963)         |
| მარკეტინგული ხარჯი               | (37,552)         | (27,882)         |
| ავტომობილის ხარჯი                | (12,323)         | (5,041)          |
| ცვეთა და ამორტიზაცია             | (4,098)          | (4,811)          |
| <b>სულ კომერციული ხარჯები</b>    | <b>(296,122)</b> | <b>(210,088)</b> |

#### 8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                              | 2022             | 2021             |
|----------------------------------------------|------------------|------------------|
| შრომის ანაზღაურების ხარჯი                    | (133,309)        | (123,217)        |
| საიჯარო ხარჯი                                | (39,492)         | (32,500)         |
| საკონსულტაციო ხარჯები                        | (31,800)         | (31,600)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         | (19,560)         | (10,089)         |
| კომუნალური ხარჯი                             | (14,740)         | (4,304)          |
| დაზღვევის ხარჯი                              | (12,237)         | -                |
| საგადასახადო ხარჯი                           | (6,660)          | (4,060)          |
| ბანკის საკომისიო                             | (3,909)          | (3,891)          |
| რემონტის ხარჯები                             | (86)             | (2,613)          |
| კომუნიკაციის ხარჯი                           | -                | (5,714)          |
| სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი             | (28,539)         | (20,583)         |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>(290,332)</b> | <b>(238,571)</b> |

შპს “იდეალ ჯორჯია”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება        | შენობა-ნაგებობები | სატრანსპორტო საშუალებები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სხვა ძირითადი საშუალებები | სულ              |
|-----------------------------|-------------------|--------------------------|-------------------------|---------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2020</b>    | <b>369,641</b>    | <b>37,292</b>            | <b>15,559</b>           | <b>17,199</b>             | <b>439,691</b>   |
| შემოსვლა წლის განმავლობაში  | 12,701            | 57,007                   | 18,079                  | 87,842                    | 175,629          |
| გასვლა                      | -                 | (25,742)                 | (27)                    | (88,327)                  | (114,096)        |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | <b>382,342</b>    | <b>68,557</b>            | <b>33,611</b>           | <b>16,714</b>             | <b>501,224</b>   |
| შემოსვლა წლის განმავლობაში  | -                 | 38,096                   | 4,981                   | 3,128                     | 46,205           |
| გასვლა                      | -                 | -                        | -                       | -                         | -                |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>    | <b>382,342</b>    | <b>106,653</b>           | <b>38,592</b>           | <b>19,842</b>             | <b>547,429</b>   |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>      |                   |                          |                         |                           |                  |
| <b>31 დეკემბერი, 2020</b>   | <b>(59,562)</b>   | <b>(35,158)</b>          | <b>(9,541)</b>          | <b>(16,805)</b>           | <b>(121,066)</b> |
| წლის დარიცხული ცვეთა        | (6,465)           | (4,812)                  | (2,512)                 | (1,112)                   | (14,901)         |
| გასვლები                    | -                 | 24,309                   | 62                      | 4,319                     | 28,690           |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | <b>(66,027)</b>   | <b>(15,661)</b>          | <b>(11,991)</b>         | <b>(13,598)</b>           | <b>(107,277)</b> |
| წლის დარიცხული ცვეთა        | (7,966)           | (8,649)                  | (4,098)                 | (2,946)                   | (23,659)         |
| გასვლები                    | -                 | -                        | -                       | -                         | -                |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>    | <b>(73,993)</b>   | <b>(24,310)</b>          | <b>(16,089)</b>         | <b>(16,544)</b>           | <b>(130,936)</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> |                   |                          |                         |                           |                  |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | <b>316,315</b>    | <b>52,896</b>            | <b>21,620</b>           | <b>3,116</b>              | <b>393,947</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>    | <b>308,349</b>    | <b>82,343</b>            | <b>22,503</b>           | <b>3,298</b>              | <b>416,493</b>   |

## შპს “იდეალ ჯორჯია”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 10. მარაგები

|                       | 31 დეკემბერი<br>2022 | 31 დეკემბერი<br>2021 |
|-----------------------|----------------------|----------------------|
| სარეალიზაციო მარაგები | 714,827              | 786,341              |
| სხვა მასალები         | 2,442                | 2,437                |
| <b>სულ მარაგები</b>   | <b>717,269</b>       | <b>788,778</b>       |

#### 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 31 დეკემბერი<br>2022 | 31 დეკემბერი<br>2021 |
|------------------------------------------|----------------------|----------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 581,013              | 451,771              |
| გადახდილი ავანსები                       | 9,426                | 6,825                |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>    | <b>590,439</b>       | <b>458,596</b>       |

#### 12. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

#### 13. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                        | 31 დეკემბერი<br>2022 | 31 დეკემბერი<br>2021 |
|----------------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული სალაროში                          | 34,571               | 21,057               |
| ფული ბანკში                            | 10,370               | 4,853                |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>44,941</b>        | <b>25,910</b>        |

#### 14. კაპიტალი

##### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 397 ლარს (2021: 397 ლარი). ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

##### დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და განაწილების წესს.

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 267,522 ლარის ოდენობით (2021: 266,005 ლარი).

## 15. მიღებული სესხები

როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი სესხი წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტისგან ნასესხებ ფულად სახსრებს.

მოკლევადიანი სესხი აღებულია ეროვნულ ვალუტაში და მისი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12.5%-ს.

გრძელვადიანი სესხი კომპანიას აღებული აქვს ევროში და დოლარში, რომელთა საპროცენტო განაკვეთებია შესაბამისად 4.8% და 5.5%.

## 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                          | 31 დეკემბერი<br>2022 | 31 დეკემბერი<br>2021 |
|------------------------------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                    | 224,623              | 268,682              |
| მიღებული ავანსები                        | 4,721                | 8,504                |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები          | 22,205               | 32,012               |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>251,549</b>       | <b>309,198</b>       |